

MOSTATTM

BY ALIEN GREEN

ინსტალაციის ინსტრუქცია v1.0




ALIEN GREEN

უსაფრთხოების ნორმები

თერმოსტატის ინსტალაციამდე ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციას, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას უსაფრთხოებისა და ნორმატიული წესების შესახებ თერმოსტატსა და მის მონტაჟთან დაკავშირებით. ინსტრუქცია შეინახეთ საიმედო ადგილას იმისათვის, რომ კვლავ გამოიყენოთ, საჭიროების შემთხვევაში.


- თერმოსტატი უნდა დამონტაჟდეს მოქმედი სტანდარტების შესაბამისად
- სამუშაოების დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ გათბობის ქვებს ძაბვა არ მიეწოდება
- გაფრთხილებები წაიკითხეთ ყურადღებით!

 ინსტრუქციაში მოცემული გათბობის ქვებში არსებული ბეჭდური დაფის (პლატა) სურათები პირობითია და შეიძლება სქემატურად განსხვავდებოდეს სხვადასხვა მწარმოებლის ბეჭდური დაფებისგან.


კომპლექტაცია



ტემპერატურისა და ტენიანობის
გადამცემი (ოთახის სენსორი)




მართვის ბლოკი




კვების შლეიფი




ანტენის დამაკავშირებელი სადენი




2 AA ტიპის ელემენტი



2-წერიანი სადენი



2 ცალული (ხაშუთი)




2 სტვალი



გარე ანტენა

მოწყობილობების აღწერა




Wi-Fi როუტერი, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და, ამავდროულად, უზრუნველყოფს მოწყობილობებს შორის კავშირს (კომპლექტაციაში არ შედის)



ტემპერატურისა და ტენიანობის გადამცემი სენსორი მონტაჟდება საცხოვრებელ ან კომერციულ ფართში

მართვის ბლოკი, რომელიც მონტაჟდება ცენტრალური გათბობის სისტემის ქვებში





ინსტალაცია

მართვის ბლოკის მონტაჟი გათბობის ქვაბში




ყურადღება: სამუშაოების დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ ძაბვა გათბობის ქვაბს არ მიეწოდება!



ამოიღეთ შეფუთვიდან მართვის ბლოკი.

გახსენით გათბობის ქვაბი ისე, რომ წვდომა გქონდეთ ქვაბის ბეჭდურ დაფასთან (პლატა).
(საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ გათბობის ქვაბის ინსტრუქციით).


1. გახვრიტეთ კორპუსი გარე ანტენის დასამონტაჟებლად, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე.
2. ანტენის დამაკავშირებელი სადენის ერთი ბოლო შეაერთეთ მართვის ბლოკზე.
3. ანტენის დამაკავშირებელი სადენის მეორე ბოლო დაამაგრეთ ნახვრეტში და გადაუჭირეთ ქანჩს.
4. გარე ანტენა ჩახრახნეთ, როგორც ნაჩვენებია სურათზე.



5. მოძებნეთ შემაერთებული ოთახის თერმოსტატის, ნომრით **TA1** ანდა **TA,LS-LR,COM-NO** (არისტონის გათბობის ქვაბის შემთხვევაში **TA1**, ხოლო სხვა დანარჩენ გათბობის ქვაბებზე **TA,LS-LR,COM-NO**), ჩასხენით **TA1**-ზე არსებული მათრახი და მიაერთეთ 2-წვერიანი სადენი, როგორც ნაჩვენებია სურათზე.


6. შეაერთეთ კვების შლეიფის ერთი ბოლო მართვის ბლოკზე, ხოლო მეორე ბოლო გათბობის ქვაბის ბეჭდურ დაფაზე (პლატა), როგორც ნაჩვენებია სურათზე.

დარწმუნდით, რომ ყველაფერი გამართულად არის შეერთებული და მხოლოდ ამის შემდეგ ჩართეთ გათბობის ქვაბი. თუ კვება სწორად არის მიერთებული მართვის ბლოკზე, უნდა აინთოს წითელი ნათურა, ხოლო **Status**-ის მწვანე ნათურა უნდა ციმციმებდეს.



მართვის ბლოკის ფუნქციონალობის ტესტი

მართვის ბლოკზე მოთავსებულ ღილაკს დააჭირეთ ერთხელ, ბოილერის მწვანე ნათურის ანთებამდე. თუ მართვის ბლოკის შემაერთებელი **(TA1)** სწორად არის მიერთებული, რამდენიმე წამში აინთება გათბობის ქვების ალი, ხოლო ღილაკზე განმეორებით დაჭერის შემთხვევაში, ჩაქრება. თუ არ აინთო გათბობის ქვების ალი, გადაანაცვლეთ **TA1** სადენის წვერები და გაიმეორეთ პროცედურა.



ონლაინ აქტივაცია და პირად ანგარიშზე მიბმა


სრულყოფილი სერვისის მისაღებად, საჭიროა თერმოსტატის ონლაინ აქტივაცია. ამისათვის გახსენით თერმოსტატის აპლიკაცია მობილურ ტელეფონში ან კომპიუტერიდან შედით ვებ ბმულზე <https://app.aliengreen.ge> და გაიარეთ რეგისტრაცია.

მობილურ ტელეფონში გახსენით **MOSTAT**-ის აპლიკაცია, დააჭირეთ ღილაკს „კონფიგურაცია“.

მობილურის Wi-Fi-ით დაუკავშირდით მოსტატის მოწყობილობას სახელად **MOSTAT-[თქვენი მოწყობილობის სერიული ნომერი]**. პაროლის მოთხოვნის შემთხვევაში, მთავრულით (დიდი ასოებით) აკრიფეთ: **MOSTAT123** და მიჰყევით აპლიკაციაში მოცემულ ინსტრუქციას.

აპლიკაცია დააკავშირებს მოწყობილობებს თქვენი სახლის ინტერნეტთან.

აპლიკაციის გადმოსაწერად ასევე
შეგიძლიათ გამოიყენოთ QR-CODE



მართვის ბლოკის აღწერა

წითელი ნათურის ნათება - მართვის ბლოკს კვება მიეწოდება.

Status-ის მწვანე ნათურის ციმციმი - მოწყობილობის თავდაპირველი მდგომარეობა, კონფიგურაციის რეჟიმი აქტიურია.


AP Status-ის მწვანე ნათურის ციმციმი - მოწყობილობა უკავშირდება Wi-Fi როუტერს.

Status-ის მწვანე ნათურის ნათება - მართვის ბლოკი აქტიურია.

AP Status-ის მწვანე ნათურის ნათება - მართვის ბლოკი დაკავშირებულია Wi-Fi როუტერთან.


ბოილერის მწვანე ნათურის ნათება - გათბობა ჩართულია.

ბოილერის ჩამქრალი ნათურა - გათბობა გამორთულია.



ოთახის სენსორის მონტაჟი

- ოთახის სენსორის მონტაჟი რეკომენდირებულია საცხოვრებელ ფართში, სადაც ოჯახის წევრები ატარებთ დროის უმეტეს ნაწილს.
- მონტაჟის სიმაღლე 120-150 სმ იატაკიდან.
- კარისა და ფანჯრიდან მოშორებით 200-300 სმ.
- მოარიდეთ მზის სხივებს.



რეკომენდაციები მოცემულია ტემპერატურული ცდომილების თავიდან ასაცილებლად

მოთახის სანსოროს კონფიგურაცია

ამოიღეთ შეფუთვიდან ოთახის სენსორი და მოხადეთ ხუფი.

მოხსენით ელემენტის დამცავი ფირი, როგორც ნაჩვენებია სურათზე.

ოთახის სენსორი მიიტანეთ გათბობის ქვაბთან, დააჭირეთ ღილაკს ერთხელ;
ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ, ოთახის სენსორზე ცისფერი ნათება აცემციმდება,
რაც გვაუწყებს, რომ მოწყობილობა კონფიგურაციის მოლოდინის რეჟიმშია.

ამ დროს გათბობის ქვებში მოთავსებულ მართვის ბლოკზე დააჭირეთ ღილაკს ერთხელ ისე, რომ **Status**-ის ნათურამ დაიწყოს ციმციმი.

ამ ოპერაციით მართვის ბლოკსა და ოთახის სენსორს შორის ხდება კონფიგურაციის პარამეტრების გაცვლა. კონფიგურაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ოთახის სენსორზე აინთება მწვანე ნათება 3-ჯერ. ამის შემდეგ ოთახის სენსორზე კვლავ დააჭირეთ ღილაკი. ამ ქმედებით ოთახის სენსორი გააგზავნის პირველად მნიშვნელობებს მართვის ბლოკთან.




კონფიგურაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, განმეორებით დააჭირეთ ღილაკს მართვის ბლოკზე და ოთახის სენსორზე.



ელემენტის შეცვლის დროს თითო დააჭირეთ ბეჭდურ დაფას და თავისუფალი ხელით ფრთხილად ამოიღეთ ელემენტი ბუდიდან ისე, რომ არ დააზიანოთ მოწყობილობა.



გამოიყენეთ მხოლოდ ლითიუმის FR6 ან ალკალაინის LR6 ელემენტები (Energizer, Duracell).



მონტაჟის სამუშაოს დასრულების შემდეგ დარწმუნდით, რომ მართვის ბლოკზე მოთავსებული **AP-Status** და **Status**-ის ნათურები უწყვეტად ანთია.

მხოლოდ ამის შემდეგ დახურეთ გათბობის ქვაბი და ჩართეთ.

შესაძლო პრობლემები და მათი აღმოფხვრა

AP-Status ნათურა ციმციმებს: ეს იმის მაუწყებელია, რომ მართვის ბლოკი ვერ უკავშირდება თქვენი სახლის Wi-Fi როუტერს. ამ შემთხვევაში, მართვის ბლოკი თავდაპირველ კონფიგურაციის მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს.

მართვის ბლოკის ქარხნულ მდგომარეობამდე დაბრუნება: მართვის ბლოკზე დააჭირეთ ღილაკს 10 წამის განმავლობაში, რის შედეგადაც **AP-Status** და **Status**-ის ნათურები დაიწყებენ სწრაფად ციმციმს. აუშვით ღილაკს თითი - ამ ქმედებით მოწყობილობა დაუბრუნდება პირვანდელი კონფიგურაციის მდგომარეობას. გახსენით მობილური აპლიკაცია თქვენს ტელეფონში, აირჩიეთ „კონფიგურაცია“ და მიჰყევით ტელეფონზე მოცემულ ინსტრუქციას.

ოთახის სენსორის ქარხნულ მდგომარეობამდე დაბრუნება: ოთახის სენსორზე დააჭირეთ ღილაკს 10 წამის განმავლობაში, რის შედეგადაც ნათურა აინთება წითლად. აუშვით ღილაკს თითი - რის შედეგადაც ნათურა დაიწყებს ლურჯად ციმციმს. ამ ქმედებით მოწყობილობა დაუბრუნდება პირვანდელი კონფიგურაციის მდგომარეობას. გახსენით მობილური აპლიკაცია თქვენს ტელეფონში, აირჩიეთ „კონფიგურაცია“ და მიჰყევით ტელეფონზე მოცემულ ინსტრუქციას.

Wi-Fi როუტერის პაროლი შეიცვალა: პაროლის შეცვლის შემთხვევაში, მართვის ბლოკი უნდა დავაბრუნოთ ქარხნულ მდგომარეობამდე.

სპეციფიკაცია

ზომები:	ოთახის სენსორი (83.5mm x 26.5mm) მართვის ბლოკი (82mm x 53mm)
კომუნიკაცია:	უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi 802.11b/g/n @ 2.4GHz, 5GHz 802.15.4 @ 2.4GHz) ოთახის სენსორი და მართვის ბლოკი ერთმანეთთან Wi-Fi-ს მეშვეობით ამყარებს კავშირს სხვა თერმოსტატებისგან განსხვავებით, არ საჭიროებს დამატებით როუტერს, რადგან ორივე მოდული სახლის უსადენო ინტერნეტს იყენებს
სენსორები:	ტემპერატურის სენსორი (-40°C დან $+120^{\circ}\text{C}$) ტემპერატურის მგრძნობელობა ($\pm 0.01^{\circ}\text{C}$) ტენიანობის სენსორი (0 დან 100 %RH) ტენიანობის მგრძნობელობა (± 0.04 %RH)
კვების წყარო:	ოთახის სენსორი (2ც AA ტიპის ელემენტი. მომსახურების ვადა 1 წელი) მართვის ბლოკი (კვება გათბობის ქვაბიდან)
თავსებადობა:	აუცილებელი მოთხოვნა - უსადენო Wi-Fi ინტერნეტი თავსებადია საქართველოში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემის ქვების 90%-თან
აპლიკაცია:	თერმოსტატის მართვა აპლიკაციიდან iOS, Android, Web (Safari, Chrome, Firefox) ოთახის სენსორთან ურთიერთქმედება ხდება მხოლოდ აპლიკაციის საშუალებით რამდენიმე მოწყობილობიდან ერთდროულად მართვა
გარანტია:	2 წელი

გჭირდებათ ტექნიკური მხარდაჭერა ან მარტივი რჩევები?
ნუ მოგერიდებათ, დაგვიკავშირდით.

პატივისცემით,

„ელიენ გრინ“-ის გუნდი



+995 32 2424622



<https://aliengreen.ge/ka/thermostat/faq>



<https://aliengreen.ge/ka/contact-us>



<https://www.instagram.com/mostatge/>



<https://www.facebook.com/mostatge>



<http://twitter.com/mostatge>